

ფინანსური
ანგარიშგება

შპს მაქს- ტრანს ჯორჯია



2024

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	1
1. კომპანია და მისი საქმიანობა	2
2. მომზადების საფუძვლები	2
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	3
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
6. ძირითადი საშუალებები	20
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
8. ფული და ფულადი სახსრები	22
9. მარაგები	23
10. გაცემული სესხები	23
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
12. სესხები	24
13. ამონაგები	24
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	Error! Bookmark not defined.
15. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	25
16. ფინანსური რისკის მართვა	26
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	28
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29
მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “უარყოფითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ არ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მარაგების ფაქტობრივ მდგომარეობასა და რაოდენობაზე რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის თვის წარმოდგენილია 635,337 ლარის ოდენობით. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

კომპანიამ არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის, სატრანსპორტო საშუალებების, ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან და საქმიანობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ჩვენ სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება სატრანსპორტო საშუალებების ფაქტობრივ რაოდენობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 1,175,687 ლარის ოდენობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში

ასევე ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო სათანადო რწმუნება დებიტორ-კრედიტორების ნაშთების სისწორეზე.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციით ჩვენ ვერ დავადასტურეთ საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულება, ასევე კომპანიას არ მოუხდენია რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არც ის მიზეზები განუმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, როგორც ეს მოთხოვნილია ბასს-40-ის შესაბამისად. შედეგად, არ შეგვიძლია განგვესაზღვროთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებლები - შპს „მაქს-ტრანს ჯორჯია“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (შემდგომში IESBA კოდექსი) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ დავადგინეთ, რომ - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა, არ არსებობს სხვა აუდიტის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც აუცილებელი იყო ინფორმირება ჩვენს დასკვნაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს-ის) შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს - შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ -შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა -შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, -შპს “მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შ.პ.ს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ.#SARAS-A-728904)

24 ნოემბერი 2025 წელი

ბათუმი საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშებაზე

ჩვენი აზრით, -შპს „მაქს-ტრანს ჯორჯია“-ს მმართველობის ანგარიშების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შ.პ.ს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ.#SARAS-A-728904)

24 ნოემბერი 2025 წელი

ბათუმი საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
საინვესტიციო ქონება	5	10,315,720	10,417,573	6,827,434
ძირითადი საშუალებები	6	1,321,401	1,724,917	2,685,645
გაცემული სესხები	11	1,740,023	1,612,740	2,061,152
სხვა გრძელვადიანი აქტივები		397,608	342,463	177,644
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,774,752	14,097,693	11,751,875
მიმდინარე აქტივები:				
მარაგები	10	635,337	819,197	581,345
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,486,399	548,532	1,435,191
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		20,240	117,042	68,204
სხვა მიმდინარე აქტივები	8	993,625	1,043,902	430,181
სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები		4,210,200	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	8,649	137,580	107,336
სულ მიმდინარე აქტივები		7,354,449	2,666,254	2,622,257
სულ აქტივები		21,129,201	16,763,947	14,374,131
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები				
აქციონერთა კაპიტალი:				
გაუნაწილებელი მოგება		16,738,510	9,170,317	6,472,822
სულ აქციონერთა კაპიტალი		16,738,510	9,170,317	6,472,822
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	2,954,217	5,191,034	6,733,496
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,954,217	5,191,034	6,733,496
მიმდინარე ვალდებულებები:				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	12	341,362	919,893	703,674
მიღებული ავანსები		26,020	87,073	95,161
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	953,675	1,223,337	-
სხვა ვალდებულებები		115,416	172,293	368,978
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,436,473	2,402,596	1,167,814
სულ ვალდებულებები		4,390,690	7,593,630	7,901,310
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		21,129,201	16,763,947	14,374,131

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 24 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი  მ. მალაყმაძე



7-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი გადაანგარიშებული	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი გადაანგარიშებული
მიმდინარე ოპერაციები			
ამონაგები	14	17,501,121	25,669,118
თვითღირებულება		(13,086,383)	(15,976,323)
მთლიანი მოგება		4,414,738	9,692,795
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	15	(4,715,837)	(6,033,247)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(697,753)	(358,100)
საპროცენტო შემოსავლები		122,525	121,246
საპროცენტო ხარჯები		(553,272)	(556,245)
ფინანსური შემოსავლი/ხარჯი, წმინდა		178,824	(49,457)
შემოსავალი ძირითადი შემოსავლების რეალიზაციიდან		10,966,855	96,797
ხარჯი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(2,068,389)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(22,820)	(24,882)
მოგება დაბეგვრამდე		7,624,871	2,888,907
მოგების გადასახადი		(16,258)	(30,041)
წლის წმინდა მოგება		7,608,614	2,858,865
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		7,608,614	2,858,865

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი

მ. მაღაყმაძე




საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	6,472,822	6,472,822
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,858,865	2,858,865
გადახდილი დივიდენდები	-	(161,370)	(161,370)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	9,170,317	9,170,317
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,608,614	7,608,614
გადახდილი დივიდენდები	-	(40,421)	(40,421)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	16,738,510	16,738,510

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:



მ. მალაყმაძე



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე	7,624,871	2,888,907
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(16,258)	(30,041)
ცვეთა და ამორტიზაცია	770,308	943,480
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/აღდგენა მოგება/ზარალი	(8,898,466)	(96,797)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(178,824)	49,457
ფინანსური შემოსავალი/ზარჯი	430,748	556,245
სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(267,621)	4,311,250
მარაგების კლება/(ზრდა)	183,861	(237,852)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(5,000,987)	59,281
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება	(696,461)	11,446
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(5,781,209)	4,144,125
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		
გადახდილი პროცენტი	(553,272)	(556,024)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,334,481)	3,588,101
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	10,817,580	128,165
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(2,338,365)	(3,626,801)
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან	8,479,215	(3,498,636)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება/დაფარვა	(2,506,479)	(194,490)
შემოსავალი გაცემული სესხებიდან	122,525	164,000
გაცემული დივიდენდები	(40,421)	(162,291)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(2,424,375)	(192,781)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(279,641)	(103,316)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	150,710	89,979
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	137,580	150,917
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	8,649	137,580

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი

მ. მათიყმაძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
საინვესტიციო ქონება	5	10,315,720	10,417,573	6,827,434
ძირითადი საშუალებები	6	1,321,401	1,724,917	2,685,645
გაცემული სესხები	11	1,740,023	1,612,740	2,061,152
სხვა გრძელვადიანი აქტივები		397,608	342,463	177,644
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,774,752	14,097,693	11,751,875
მიმდინარე აქტივები:				
მარაგები	10	635,337	819,197	581,345
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,486,399	548,532	1,435,191
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		20,240	117,042	68,204
სხვა მიმდინარე აქტივები	8	993,625	1,043,902	430,181
სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები		4,210,200	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	8,649	137,580	107,336
სულ მიმდინარე აქტივები		7,354,449	2,666,254	2,622,257
სულ აქტივები		21,129,201	16,763,947	14,374,131
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები				
აქციონერთა კაპიტალი:				
გაუნაწილებელი მოგება		16,738,510	9,170,317	6,472,822
სულ აქციონერთა კაპიტალი		16,738,510	9,170,317	6,472,822
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	2,954,217	5,191,034	6,733,496
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,954,217	5,191,034	6,733,496
მიმდინარე ვალდებულებები:				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	12	341,362	919,893	703,674
მიღებული ავანსები		26,020	87,073	95,161
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	953,675	1,223,337	-
სხვა ვალდებულებები		115,416	172,293	368,978
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,436,473	2,402,596	1,167,814
სულ ვალდებულებები		4,390,690	7,593,630	7,901,310
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		21,129,201	16,763,947	14,374,131

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცდა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 24 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

მ. მალაყმაძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი გადაანგარიშებული	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი გადაანგარიშებული
მიმდინარე ოპერაციები			
ამონაგები	14	17,501,121	25,669,118
თვითღირებულება		(13,086,383)	(15,976,323)
მთლიანი მოგება		4,414,738	9,692,795
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	15	(4,715,837)	(6,033,247)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(697,753)	(358,100)
საპროცენტო შემოსავლები		122,525	121,246
საპროცენტო ხარჯები		(553,272)	(556,245)
ფინანსური შემოსავლი/ხარჯი, წმინდა		178,824	(49,457)
შემოსავალი ძირითადი შემოსავლების რეალიზაციიდან		10,966,855	96,797
ხარჯი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(2,068,389)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(22,820)	(24,882)
მოგება დაბეგვრამდე		7,624,871	2,888,907
მოგების გადასახადი		(16,258)	(30,041)
წლის წმინდა მოგება		7,608,614	2,858,865
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		7,608,614	2,858,865

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: მ. მაღაყმაძე

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	6,472,822	6,472,822
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,858,865	2,858,865
გადახდილი დივიდენდები	-	(161,370)	(161,370)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	9,170,317	9,170,317
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	7,608,614	7,608,614
გადახდილი დივიდენდები	-	(40,421)	(40,421)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	16,738,510	16,738,510

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: მ. მაღაყმაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახდებამდე	7,624,871	2,888,907
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(16,258)	(30,041)
ცვთა და ამორტიზაცია	770,308	943,480
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/აღდგენა მოგება/ზარალი	(8,898,466)	(96,797)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(178,824)	49,457
ფინანსური შემოსავალი/ზარჯი	430,748	556,245
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	(267,621)	4,311,250
მარაგების კლება/(ზრდა)	183,861	(237,852)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(5,000,987)	59,281
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება	(696,461)	11,446
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(5,781,209)	4,144,125
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		
გადახდილი პროცენტი	(553,272)	(556,024)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(6,334,481)	3,588,101
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	10,817,580	128,165
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(2,338,365)	(3,626,801)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	8,479,215	(3,498,636)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება/დაფარვა	(2,506,479)	(194,490)
შემოსავალი გაცემული სესხებიდან	122,525	164,000
გაცემული დივიდენდები	(40,421)	(162,291)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(2,424,375)	(192,781)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(279,641)	(103,316)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	150,710	89,979
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	137,580	150,917
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	8,649	137,580

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი: მ. მალაყმაძე

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები



1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მაქს-ტრანს ჯორჯია დაარსდა 2008 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში, კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ ბათუმში. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო გადაზიდვები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა.

ასევე, კომპანია ახორციელებს ქათმის გაყინული პროდუქციის იმპორტსა და საქართველოს ბაზარზე მის რეალიზაციას, სამშენებლო/სარემონტო მასალების იმპორტსა და რეალიზაციას, საოფისე და სასაწყობო ფართების გაქირავებას. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.# 21 ბინა 6.

კომპანია 2023 წლიდან გადავიდა მის მიერ აშენებულ კომერციულ ფართში, რომელიც მდებარეობს ბათუმში ადლიის ტერმინალის მიმდებარედ და რომელიც აღრიცხულია როგორც საინვესტიციო ქონება.

კომპანიას ყავს ერთი დამფუძნებელი, ფიზიკური პირი - მალხაზ მალაყმაძე, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მე-3 შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დამება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დამებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები, სხვა აქტივები და ვალდებულებები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ბასს 1-ში და ფასს -ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე

5-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამონაგების აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- ✓ მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- ✓ სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- ✓ გარიგების ფასის განსაზღვრა;
- ✓ გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;

შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ ძირითადი საშუალების უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსაშკარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა, ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებების ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცვლელი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულების ინდიკატორად, გამოიყენება ის თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შეძენის ან შექმნის მომენტში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5–10
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5–10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5–10
სატრანსპორტო საშუალებები	5–10
სხვა ძირითადი საშუალებები	5–10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხდება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული საადრიცხო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხდება სულ მცირე თითოეული საადრიცხო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც საადრიცხო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

5-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო

მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას საწარმო აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.

თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო

აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360	>360 დღე
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებად - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს

საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც კომპანია იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

5-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება.

თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს.

ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

შელავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგების გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

5-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება ასევე მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გამოყენების ხანგრძლივობა: კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებებითა და საინვესტიციო ქონებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა. კომპანიის საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ისტორიული ღირებულებით და წარსულში არ მომხდარა მისი შეფასება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2023 წელს, მენეჯმენტმა განახორციელა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თვისობრივი ანალიზი და დაადგინა, რომ მიწა და შენობები აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს 2022 წლიდან, თუმცა მისი ღირებულების სამართლიანი შეფასება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე არ მოუხდენია. კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება შედგება ბათუმში მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობებისგან ბათუმსა და თბილისში, რომლის ძირითადი ნაწილიც კომპანიას გაქირავებული აქვს.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

დასახელება	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიწა	2,487,421	2,487,421
შენობა-ნაგებობა	7,828,299	7,430,609
სულ	10,315,720	9,918,030

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ღირებულება 1 იანვარი 2022	717,033	25,896	9,686	5,340,225	317,759	6,410,599
შესყიდვა	-	49,546	9,191	413,186		471,923
რეალიზაცია	(14,479)			(477,490)		(491,969)
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	702,554	75,442	18,877	5,275,920	317,759	6,390,552
შესყიდვა	8,475	5,305	3,733	19,150		36,662
რეალიზაცია	(53,680)			(651,299)		(704,979)
ჩამოწერა				-		
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	657,349	80,746	22,610	4,643,771	317,759	5,722,235
შესყიდვა	176	30,556	-	555,159		585,892
რეალიზაცია	(130,423)			(699,343)		(829,766)
ჩამოწერა						-
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	527,102	111,303	22,610	4,499,587	317,759	5,478,361
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	(324,552)	(19,343)	(8,999)	(2,373,307)	(234,225)	(3,017,920)
ცვეთის ხარჯი	(139,205)	(5,393)	(153)	(767,897)	(47,664)	(960,311)
რეალიზაცია	10,242			205,588		215,830

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ქართულ ლარში

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	(453,515)	(24,736)	(9,152)	(2,935,616)	(281,889)	(3,704,907)
ცვეთის ხარჯი	(117,593)	(12,686)	(423)	(792,911)	(19,866)	(943,479)
რეალიზაცია	47,132			603,936		651,068
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(523,976)	(37,422)	(9,575)	(3,124,591)	(301,755)	(3,997,318)
ცვეთის ხარჯი	(57,799)	(14,638)	(1,144)	(667,343)	(7,828)	(748,752)
რეალიზაცია	121,078			468,034		589,112
	(460,698)	(52,060)	(10,719)	(3,323,900)	(309,583)	(4,156,959)
წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2022	392,481	6,553	687	2,966,918	83,534	3,392,679
31 დეკემბერი 2022	249,039	50,706	9,726	2,340,304	35,870	2,685,644
31 დეკემბერი 2023	133,372	43,324	13,036	1,519,180	16,004	1,724,917
31 დეკემბერი 2024	66,404	59,243	11,892	1,175,687	8,176	1,321,402

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ისევე, როგორც 2023 წლის 31 დეკემბერს) კომპანიას არ ჰქონია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები. ასევე, 2024 წელსა და 2023 წლის ბოლოს კომპანიის ძირითადი საშუალებები არ წარმოადგენდნენ სესხების უზრუნველყოფის საგანს.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,659,542	704,357
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(173,143)	(155,825)
სულ	1,486,399	548,532

დანაკარგი, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. 2024 წელს კომპანიამ, ჯამურად ჩამოწერა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომელიც გადამორებული იყო 12 თვეს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვალუტების მიხედვით გაშლა იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

კომპანიის პოლიტიკა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესახებ და გამოყენებული მატრიცა მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

8. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	48,390	76,073
ეროვნული ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	8,048	62,849
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	(47,789)	(1,342)
სულ	8,649	137,580

9. მარაგები

მარაგების ნაშთები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

დასახელება	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
საქონელი	595,267	557,705
საწვავი	21,865	26,444
სხვა მარაგი	18,205	235,048
სულ	635,337	819,197

კომპანიის მარაგები არ წარმოადგენს სესხებით უზრუნველყოფის საგანს.

10. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გაც. თარიღი	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხი შპს მაქს ჰოლდინგი	12/2/2021	5 წელი	7%	1,124,930	536,608
გაცემული სესხი ბ.მ ჯგუფი	12/7/2021	5 წელი	7%	615,093	1,076,132
სულ				1,740,023	1,612,740

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებს:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო ვალდებულებები	341,362	919,893
სულ	341,362	919,893

12. სესხები

სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის ნომერი	ბანკი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	სესხის აღების თარიღი	ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
3.16309	სს პროკრედიტ ბანკი	GEL	11.0%	8/17/2023	120 თვე	3,206,192	3,431,550
3.16310	სს პროკრედიტ ბანკი	GEL	11.0%	8/17/2023	36 თვე	-	2,176,001
3.16318	სს პროკრედიტ ბანკი	USD	6.5%	8/30/2023	36 თვე		537,880
3.16425	სს პროკრედიტ ბანკი	USD	6.5%	12/6/2023	36 თვე		268,940
3.16829	სს პროკრედიტ ბანკი	USD	8.9%	12/23/2024	3 თვე	701,700	
სულ სასესხო ვალდებულებები						3,907,892	6,414,371

კომპანიას სესხები აღებული აქვს, როგორც საბანკო და სხვა საფინანსო დაწესებულებებიდან, ასევე დაკავშირებული მხარეებისგან საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.5% დან 11 პროცენტამდე, სესხები აღებულია როგორც ლარში ასევე დოლარსა და ევროში.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

13. ამონაგები

ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან		
შემოსავალი რეალიზაციიდან	17,501,121	25,669,118
სულ	17,501,121	25,669,118

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 2024 და 2023 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება:		
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(13,086,383)	(15,976,323)
სულ	(13,086,383)	(15,976,323)

15. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდების და მომსახურების ხარჯები 2024 და 2023 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ავტოტექნომომსახურება - ქვეკონტრაქტორები	2,018,652	2,607,891
საწვავის ხარჯი	1,045,291	1,575,081
ცვეთა და ამორტიზაცია	770,308	943,480
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	489,831	378,305
მიწოდების სხვა ხარჯები	5,575	5,492
მძღოლების მივლინებების ხარჯი	244,322	359,287
გადაზიდვის ნებართვების ხარჯი	43,900	85,870
საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ხარჯი	97,958	77,843
სულ	4,715,837	6,033,247

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სხვა საგადასახადო ხარჯები	31,885	96,996
ელექტროენერგია და გაზი	84,661	52,128
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	38,000	(35,000)
კომუნიკაციის ხარჯები	15,634	23,958
საკანცელარიო ხარჯები	2,931	2,196
საოფისე ინვენტარის ხარჯები	1,227	879
საბანკო მომსახურების ხარჯი		88,264
სხვა საერთო ხარჯი	523,414	128,680
სულ	697,752	358,101

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

საკრედიტო რისკს;

საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს),

ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკს.

2023		
	USD	GEL
აქტივები		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დვაალიანება	54,464	146,475
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	559,665	1,505,163
მისაღები პროცენტები	2,207	5,935
სასესხო ვალდებულებები	300,000	806,820
მიწოდებიდა და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	65,092	175,058
ჯამი	981,428	2,639,451

GEL/USD		
20%		-20%
	2,639,451	2,639,451
	3,167,341	2,111,561
	(527,890)	527,890

2024		
	USD	GEL
აქტივები		
ფული საბანკო ანგარიშზე	114	320
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	258,954	726,832
სასესხო ვალდებულებები	250,000	701,700
მიწოდებიდა და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	25,659	72,020
ჯამური ვალდებულებები		
ჯამი	534,727	1,500,872

GEL/USD

	20%	-20%
	1,500,872	1,500,872
	1,801,046	1,200,697
	(300,174)	300,174

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	1,740,023	1,889,145
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,486,399	521,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,649	105,137
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	2,515,643	2,515,643

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხი შპს მაქს ჰოლდინგი	1,124,930	536,608
გაცემული სესხი ბ.მ ჯგუფი	615,093	1,076,132
სულ	1,740,023	1,612,740

უმაღლესი ხელმძღვანელობის ახაზღაურება	2024	2023
--------------------------------------	------	------

ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	74,579	36,000
--	--------	--------

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიას გამოეგზავნა ბრძანება გასვლითი საგადასახადო შემოწმების შესახებ, რომელიც მოიცავდა 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს. აღნიშნული პროცესი კომპანიაში მიმდინარეობდა რამოდენიმე თვის განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს მხრიდან მოხდა დოკუმენტებისა და ახსნა განმარტებების გამოთხოვა სხვადასხვა ოპერაციებთან დაკავშირებით, თუმცა რაიმე საგადასახადო რისკი არ გამოკვეთილა. ანგარიშგების გამოცემამდე საგადასახადოს მხრიდან გამოიგზავნა ბრძანება კომპანიაში საგადასახადო შემოწმების გაუქმებაზე. რაც ქმნის აზრს იმის შესახებ, რომ კომპანიაში რაიმე საგადასახადო სამართალდარღვევა არ გამოკვეთილა.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობითი ანგარიშგება და 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს მაქს-ტრანს ჯორჯია

1. კომპანიის პროფილი და ზოგადი ინფორმაცია

- რეგისტრაცია: 2008 წელი
- დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი: **მალხაზ მაღაყმაძე (61006012322)**
- ძირითადი საქმიანობა: სატრანსპორტო მომსახურება
- დამატებითი საქმიანობები:
 - სამშენებლო მასალების იმპორტი-რეალიზაცია
 - გაყინული ქათმის პროდუქციის იმპორტი-რეალიზაცია
 - სასაწყობე ფართების იჯარა

2. საქმიანობის მიმოხილვა

შპს **შპს მაქს-ტრანს ჯორჯია** წარმატებით ოპერირებს 2008 წლიდან. კომპანია ყოველწლიურად აფართოებს საქმიანობას, რაც ზრდის კომპანიის რესურსებს და დასაქმებულთა რაოდენობას. 2024 წელსაც შენარჩუნდა სტაბილური ზრდის ტენდენცია როგორც სატრანსპორტო მომსახურებაში, ისე იმპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებებში.

მომხმარებლები და პარტნიორები

2023–2024 წლებში მომსახურება გაიწია შემდეგ კომპანიებზე:

შპს ლუიდორი
ედნარ მაღაყმაძე
შპს იზი
შპს ნაზილბე ++
შპს კომფორტი
შპს კმპ
შპს მერაბი 2011
ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო
შპს ალალი777
შპს მაგი
შპს ფრემ პროდუქტ კომპანია
შპს თამარი 24/14
შპს სიბელ აქტივები

3. მომსახურების ცენტრები და ინფრასტრუქტურა


კომპანიამ 2023 წელს გახსნა ახალი ოფისი ქ. ბათუმში (აეროპორტის გზატკეცილი 297). ლოკაციაზე განთავსებულია:

- ადმინისტრაციული ოფისი
- სასაწყობე ფართები
- სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ბოქსები
- ავტოსერვისის ინფრასტრუქტურა


4. ფინანსური მიმოხილვა

ფინანსური კოეფიციენტების ურთიერკავშირის მაჩვენებლები 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:


ცხრილი 1: ყოველთვიური მთლიანი მარჟა




ცხრილი 2: თვითღირებულების წილი შემოსავლის მიმართ




ცხრილი 3: თვითღირებულებისა და შემოსავლების ცვალებადობის დინამიკა



ცხრილი 4: ამონაგებისა და ხელფასის თანაფარდობა




ცხრილი 5: თანამშრომელთა დინამიკა 2024 წლის თვეების მიხედვით




ვინაიდან, კომპანია დაკავებულია სატრანსპორტო სერვისის გაწევით, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო მიმწოდებლებისთვის, მნიშვნელოვანია საქართველოში ექსპორტ იმპორტის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი თაანფარდობის განსაზღვრა:

ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2023-2024 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2023-2024 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: <https://www.geostat.ge/media/67896/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90---2024.pdf>

რაც შეეხება კომპანიის ასევე საქმიანობის ძირითად მიმართულებას გაყინული ფრინველის ხორცისა კვერცხის იმპორტს შემდგომი რეალიზაციის მიზნებისათვის, საქტსატის მონაცემები გამოიყურება შემდგენიარად:

აშშ-დან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2023		2024*	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
 >> 				
იმპორტი-სულ	2 050 879.2		2 047 270.0	
მათ შორის:				
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	1 933 476.4	155 624	1 879 120.5	150 892
თხილი და სხვა კაკალი	5 957.4	2 097.4	22 913.7	3 752.7
შინაური ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები	4 449.1	4 854.9	13 252.2	11 953.0
კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი	4 008.4	103.3	6 555.3	156.8
მოტოციკლები და ველოსიპედები, ეტლით ან მის გარეშე; ეტლები (ცალი)	4 338.0	706	6 333.6	975
დანარჩენი საქონელი-სულ	98 649.9		119 094.6	

წყარო: <https://www.geostat.ge/media/67896/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90---2024.pdf>

✓ სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია მის სფეროში. იგი აქტიურად მონაწილეობს სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებზე.

თანამშრომლები პერიოდულად გადიან სწავლებას, გადამზადებას და მორგებას მომხმარებელთა ინტერესებზე, ვინაიდან კომპანიის შემოსავალი სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

კომპანიის გრძელვადიან მიზნებია ძირითადი ავტო პარკის განახლება და კიდევ რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების დამატება, ასევე იმპორტის გაზრდა რაც პარალელურად გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას.

✓ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

✓ კომპანიაში შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, რაც შესაბამისი რეგულაციით მოითხოვება. შრომის უსაფრთხოების კონტროლისთვის კომპანია ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დონესა და მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კომპანიას აქვს მუდმივი მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შრომის პირობების გაუმჯობესება.

✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.

კომპანიამ 2025 წელში შეიძინა კომპანია შპს რუსთაველი 37, რომლის 100%-იანი მეწილეცაა.

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი:

მ. მაღაყმაძე

✓ კომპანიაში შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, რაც შესაბამისი რეგულაციით მოითხოვება. შრომის უსაფრთხოების კონტროლისთვის კომპანია ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დონესა და მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კომპანიას აქვს მუდმივი მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შრომის პირობების გაუმჯობესება.

✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.

კომპანიამ 2025 წელში შეიძინა კომპანია შპს რუსთაველი 37, რომლის 100%-იანი მეწილეცაა.

მენეჯმენტის სახელით ხელს აწერს:

დირექტორი  მ. მალაყმაძე

